COVID 19-ის პანდემიის ეფექტი ბიზნესზე:

კრიზისის საპასუხო ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

აპრილი 2020

BDO

შინაარსი

შეღავათები ტურიზმის სექტორში	**3**
ბიზნესოპერატორები, რომლებზეც შეღავათები ვრცელდება	3
საშეღავათო პერიოდები	3
საშეღავათო პერიოდით სარგებლობის პროცედურა	4
სიტუაციური სახელმძღვანელოები საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე	**4**
უსასყიდლო საიჯარო მომსახურება	4
დაქირავებული პირების ორგანიზებული გადაყვანა	4
საგადასახადო აღრიცხვის ბარათის წარმოება	**5**
კონტაქტები და რესურსები	**6**

შეღავათები ტურიზმის სექტორში



შემოსავლების სამსახურის მიერ გარკვეული საგადასახადო შეღავათები დაწესდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული გადამხდელებისათვის.

კერძოდ, 2020 წლის 16 მარტს გამოცხადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული პირებისთვის გადასახადების გადახდის გადავადების შესახებ.

ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარირებული ვალდებულების გადახდის გადავადება მიმდინარე წლის პირველ ნოემბრამდე. შეღავათი შეეხება შემდეგი სახეობის დეკლარაციებს:

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია (საშემოსავლო)
- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია
- საწარმოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია.

შეღავათი ვრცელდება ბიზნესოპერატორებზე, რომლებიც ახორციელებენ:

- განთავსების მომსახურებას (სასტუმრო, ჰოსტელი, გესტჰაუსი და სხვა განთავსების ადგილები)
- კვების მომსახურებას (რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა კვების ობიექტები)
- ტუროპერატორულ მომსახურებას (ტურისტული სააგენტოები)
- სატრანსპორტო მომსახურებას (ავიასერვისები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავება და სხვადასხვა სახით ტურისტებისთვის სატრანსპორტო მომსახურების მიწოდება)
- საექსკურსიო მომსახურებას
- საკონფერენციო მომსახურებას.
- გასართობ მომსახურებას (გასართობი ცენტრები, კინოთეატრები, საბავშვო ცენტრები და სხვა მსგავსი გასართობი ობიექტები).
- სხვა საქმიანობის განმახორციელებელი პირი, რომელიც ორგანიზებული სახით მომსახურებას უწევს ტურისტებს (გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების).

საშეღავათო პერიოდები

გადასახადის გადახდის გადავადების შეღავათი შეეხება შემდეგ საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხულ გადასახადებს:

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის საფუძველზე - 2020 წლის მარტის, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში სავადო თარიღებით დარიცხულ თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის საანგარიშო პერიოდების გადასახადს
- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე - 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს და აღნიშნულის საფუძველზე 2020 წლის 15 მაისის სავადო თარიღით დარიცხულ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელს
- საწარმოს ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის საფუძველზე - 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დარიცხულ ქონების გადასახადს და მის საფუძველზე 2020 წლის 15 ივნისის სავადო თარიღით დარიცხულ ქონების მიმდინარე (საავანსო) გადასახდელს.

საშეღავათო პერიოდით სარგებლობის პროცედურა

საშეღავთო პერიოდით სარგებლობისთვის პირმა ელექტრონული განაცხადით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს (https://eservices.rs.ge/ServiceRequestNew.aspx?p=72).

- განაცხადში გადასახადის გადამხდელმა უნდა აღწეროს საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფინანსური სიძნელეები
- განაცხადზე პასუხის მიღებას სჭირდება 10 სამუშაო დღე
- დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი დეკლარირებული გადასახადის გადახდა გადავადდება 2020 წლის 1 ნოემბერამდე
- დეკლარირებული და გადაუხდელი გადასახადებისთვის დარიცხული საურავი 1 ნოემბრის მდგომარეობით ექვემდებარება გაუქმებას
- გადავადებული გადასახადების გადახდის ნაწილში წარმოშობილ დავალიანებაზე გადახდევინების უზრუნველსაყოფად ღონისძიებები არ განხორციელდება.

სიტუაციური სახელმძღვანელოები საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე

შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა სიტუაციური სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოყენებული იქნება საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე და ითვალისწინებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს. ამჯერად სახელმძღვანელოები ეხება ორი სახის ოპერაციას: უსასყიდლო საიჯარო მომსახურებას და დაქირავებული პირების ორგანიზებულ გადაყვანას.

უსასყიდლო საიჯარო მომსახურება

№2537 სიტუაციური სახელმძღვანელო ქვემოთ მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომ მეიჯარის მიერ გაწეული მომსახურება არ განიხილება უსასყიდლო მომსახურებად და შესაბამისად გადასახადებით დაბეგვრის ობიექტად, თუ:

- პირს ბაზრობის ტერიტორიაზე იჯარით აქვს გაცემული კომერციული ფართები/სავაჭრო ადგილები არასასურსათო ვაჭრობის განმახორციელებელ პირებზე
- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მხარეებს შეუჩერდათ საქმიანობა
- საიჯარო ხელშეკრულება არ გაუქმებულა და მეიჯარე იჯარის თანხის გადახდისგან ათავისუფლებს მოიჯარეს.

დაქირავებული პირების ორგანიზებული გადაყვანა

N2539 სიტუაციური სახელმძღვანელოთი განისაზღვრა, რომ დაქირავებულების სხვადასხვა ფორმით ორგანიზებული გადაყვანა დამქირავებლის მიერ არ წარმოქმნის საგადასახადო ვალდებულებებს, თუ:

- პირს, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას, მიეცა საგანგებო მდგომარეობის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება
- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება
- პირი ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, ორგანიზებას უკეთებს დაქირავებულ პირთა სამსახურში გამოცხადებას და მათ სახლებში დაბრუნებას სხვადასხვა ფორმით, მათ შორის გადასცემს მგზავრობისთვის საჭირო მიზნობრივ თანხას.

სიტუაციური სახელმძღვანელოები ძალაშია საგანგებო მდგომარეობის ამოქმედების დღიდან.

საგადასახადო აღრიცხვის ბარათის წარმოება

შემოსავლების სამსახურის 26 მარტის ბრძანებით №9206 ცვლილება შევიდა „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის №13446 ბრძანებაში. კერძოდ, გარდამავალი დებულებების 23-ე მუხლს დაემატა მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვითაც გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე შემოწმების შედეგად დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები/სანქციები გადაიტანება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან:

- 31-ე დღეს თუ პირს 23 მარტამდე არ გაუსაჩივრებია საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილება.
- 21-ე დღეს თუ პირს 23 მარტამდე არ გაუსაჩივრებია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება.

საგანგებო მდგომარეობამდე საგადასახადო ვალდებულებები/სანქციები პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე აისახებოდა საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღეში, ხოლო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლიდან - ავტომატურად.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 26 მარტიდან.

დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ირგვლივ დეტალური განხილვისთვის დაგვიკავშირდით:

მარიამ ხუსკივაძე
საგადასახადო მენეჯერი

+995 595 114 917
MKhuskivadze@bdo.ge

COVID19-ის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდებს:

StopCoV.ge

https://stopcov.ge/

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ.გვერდი.

COVID-19
მსოფლიო და საქართველო

https://www.covdata.ge/

BDO-ს მიერ შექმნილი ვებ.გვერდი, რომელიც ემსახურება კორონავიურსთან ბრძოლასა და სწორი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობას და არ აქვს კომერციული მიზანი.

BDO არის ბიდიოს ქსელის და ბიდიოს ყოველი წევრი ფირმის საფირმო სახელი.

ბიდიოს დამოუკიდებელი წევრების საერთაშორისო ქსელის ფარგლებში გაწეული სერვისი კოორდინირებულია ბრიუსელ ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეის მიერ, რომელიც წარმოადგენს ბელგიაში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას სათავო ოფისით ბრიუსელში.

ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედი (ბიდიოს ქსელის მმართველი საწარმო), ბრიუსელ ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეი და ბიდიოს წევრი ფირმები არიან განცალკევებული იურიდიული პირები და არ არიან პასუხისმგებელნი ერთმანეთის ქმედებებზე ან დაუდევრობებზე. ბიდიოს ქსელის შეთანხმებები და წესები არ განსაზღვრავს ან გულისხმობს ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედ, ბრიუსელ ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეის და ბიდიოს ქსელის წევრ ფირმებს შორის საშუამავლო ურთიერთობას ან პარტნიორობას.

© 2020 BDO. ყველა უფლება დაცულია.
www.bdo.ge